



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აბაზასძენი

აბაზასძენი, ქართველ ფეოდალთა საგვარეულო. წარმომავლობით დაკავშირებული ჩანს IX-X სს. შიდა ქართლის ერისთავების – ტბელების – ფეოლ. სახლთან.

ვარაუდობენ, რომ ა-თა გვარის ფუძემდებელია ბორცვისჯვრის ეკლესიის X ს. წარწერაში მოხსენიებული ტბელი აბაზაძე. XI ს. I ნახევარში მათ ეპყრათ ქართლის ერისთავობა. „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრების“ მიხედვით, ა. იყვნენ „ძლიერნი და ახოანნი სიმდიდრესა ზედა, მკლავისა თვისისასა მოქაღულნი და სიმრავლესა ზედა ერისასა აღზუავებულნი“. XI ს. შუა წლებში ა. ცენტრ. ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ფეოდალთა პირველ რიგებში იყვნენ. მათი განდგომა მარცხითა და ერისთავობის დაკარგვით დამთავრდა. ამის შემდეგ ა. დაკნინდნენ და ისტ. წყაროებში იშვიათად იხსენიებიან. 1405 დოკუმენტის ცნობით, ა-თა ერთი შტოსათვის მეფეს კახეთში [აბულეთისძეთა](#) მამული უბოძებია. XV-XVIII სს-ში ა. ზემო ქართლის სამეფო აზნაურები იყვნენ.

წყარო: გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. 2, ილ. აბულაძის რედ., თბ., 1967; მათიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ქართული წარწერების კორპუსი, ტ. 1 – ლაპიდარული წარწერები, ნ. შოშიაშვილის გამოც., თბ., 1980; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, თ. ჟორდანიას გამოც., წგ. 2, ტფ., 1897.

ნ. შოშიაშვილი